ხალგაზრდა ეროელი

გამოთა გამოლის 1921 წლიდან

ხუთშაბათი 27 დეკემბერი № 146 (11632) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა ცხინვალსა და ჯავის რაიონში

საგანგებო მდგომარეობისა და კომენდანტის საათის გამოცხადების შემდეგ ქალაქ ცხინვალში და ჯავის რაიონში თუმცა მდგომარეობა თანდათან სტაბილური ხდება, მაგრამ მაინც არსებობს რიგი სირთულეები.

კომენდანტის საათის პერიოდში დაკავეს 100 კაცი, მათ დაედოთ ადმინისტრაციული სასჯელი. ამოღებულია ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი.

მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით ქალაქ ცხინვალის კომენდანტი, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, მილიციის გენერალ-მაიორი გივი კვანტალიანი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები ქალაქის მშრომელებს, საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ინფორმაციას აწვდიან რეგიონში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ოპერატიულ მდგომარეობაზე, უპასუხებენ მათ შეკითხვებს.

ამ დღეებში საგანგებო რაიონის კომენდატურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასურსათო პროდუქტებით, სამრეწველო საქონლით, მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულით, საწვავითა და სათბობით ქალაქის მომარაგების საკითხებს.

ახლა, როცა საერთო ძალისხმევით ხდება მდგომარეობის სტაბილიზაცია, ზოგიერთი პირის წინდაუხედავ, თვითნებურ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს სერიოზული გართულებები. კერძოდ, ამ დღეებში დაუდგენელმა პირებმა დააკავეს სატვირთო ავტომანქანები, რომლებსაც სასურსათო პროდუქტები შეჰქონდათ საგანგებო მდგომარეობის რაიონში. ამან გამოიწვია სიტუაციის დაძაბვა ჯავის რაიონში. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ნაწილისა და საქართველოს მილიციის ხელმძღვანელი მუშაკების აქტიური ჩარევით კონფლიქტი თავიდან იქნა აცილებული. საქართველოს მილიცია იღებს ზომებს იმ პირთა დასადგენად, ვინც თვითნებურად აჩერებს მოსახლეობისათვის განკუთვნილ პროდუქტებით დატვირთულ ტრანსპორტს.

იმის გამო რომ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არაერთგვაროვნად აღიქმება რესპუბლიკის ცალკეულ გაზეთებში აღნიშნული ზოგიერთი ფაქტი, სასურველად მიგვაჩნია საგანგებო მდგომარეობის რაიონში ჩამოსულმა ჟურნალისტებმა კონტაქტი იქონიონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრთან, რათა თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი გაუგებრობა.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი, ხაინფორმაციო სააგენტო „საქართველო“

გახსნილია სამაჩაბლოს აღორძინების ანგარიში

საქართველოს მრეწვმშენბანკის გამგეობა სამინისტროების (უწყებების), ადგილობრივი საბჭოების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივების, ასოციაციების, არენდული და ერთობლივი საწარმოების ხელმძღვანელებისა და სხვა იურიდიული პირების საყურადღებოდ აუწყებს, რომ მის საოპერაციო სამმართველოში გახსნილია სამაჩაბლოს აღორძინების ანგარიში № 000 700 750. მისამართი ქ. თბილისი ჯორჯიაშვილის ქ. № 14: ტელ: 99-99-90.

ყველა ორგანიზაციას, რომელსაც ანგარიში გახსნილი აქვს რესპუბლიკის სალაბანკო სისტემის სხვადასხვა დაწესებულებაში, შეუძლია, შესაძლებლობის მიხედვით, გადმორიცხოს გარკვეული თანხა აღნიშნულ ანგარიშზე.

საქმრეწვმშენბანკი თავის მხრივ საინფორმაციო წყაროების მეშვეობით პერიოდულად გააშუქებს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გაწეულ მუშაობას ამ მიმართულებით.

სს „საქართველო“.

ქრონიკა, ინფორმაცია

25 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ მიიღო თურქეთის დელეგაცია ტრაპიზონის ვილაიეთის გუბერნატორის ენვერ ჰიზლანის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ქალაქ ტრაპიზონის მერი ათაი იაქთული და ტრაპიზონის ვილაიეთის განათლების მინისტრი ბენერ ქორდანი. სტუმრები რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით თანამშრომლობის შესახებ ძოლაპარაკების მოწყობისათვის.

●

25 დეკემბერს მთავრობის სასახლიდან საქტელერადიოკომიტეტის შენობამდე ერთგვარი საპროტესტო მარში მოაწყვეს საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრებმა და მომხრეებმა. მათი განმარტებით, აქცია განაპირობა იმან, რომ უკანონო შეიარაღებულ ფორმიერებათა საკითხის შესწავლელი პარლამენტული კომისიის განახლებისათვის გამიზნული შეხვედრა უზენაესი საბჭოს მიზეზით ჩაიშალა; რომ შემდგომ მათ არ მიეცათ საშუალება მიტინგის ჩატარებისა მთავრობის სასახლესთან.

აქციის მონაწილეთა მოთხოვნით, ტელევიზიით გამოვიდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი.

ეს გამოსვლა, რომელიც, ალბათ, ასიათასობით გულდამძიმებულმა ტელემაყურებელმა ნახა და მოისმინა, სავსე იყო ბრალდებებით ახლად არჩეული უზენაესი საბჭოსა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ. თითქოსდა უკვე ყველაფრის მნახველი ჩვენი ტელემაყურებლებისთვისაც კი ყურმომჭრელი იყო მსგავსი მკვეთრი შეფასებები და მწარე ფრაზები, ზედმეტად თავისუფალი იმპროვიზაცია საქართველოში ფაშისტური დიქტატურის არსებობისა და უზენაესი საბჭოს წევრთა მონური მორჩილების შესახებ.

მართალი ვიყაოვით, როცა საქართველოში ორ პოლიტიკურ ძალას შორის არსებული ურთიერთობა ჩვენს გაზეთში შეფასებულ იქნა როგორც სრული კონფრონტაცია. ის კი, მოგეხსენებათ, მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

ᲛᲝᲓᲔᲛᲓᲔ?

●

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი მიმდინარე წლის 28 დეკემბერს 16 საათზე აწყობს საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი **ლია ანდღულაძის** პრესკონფერენციას. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ჟურნალისტებთან.

პრესკონფერენცია გაიმართება კოსტავას ქ. № 14-ში. მე-5 სართულზე არსებულ სხდომათა დარბაზში.

●

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ დააწესა წოდება „ჩვენი საუკეთესო დესპანი“. ეს საპატიო წოდება ყოველწლიურად მიენიჭება ქართული კულტურის იმ მოღვაწეს ან მოღვაწეთა ჯგუფს, რომელთაც საზოგადოების ხაზით განხორციელებულ ღონისძიებებში მიიღეს აქტიური მონაწილეობა და ამით ხელი შეუწყეს ქართულ კულტურის პოპულარიზაციასა და პროპაგანდას საზღვარგარეთ. საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან არსებული საერთაშორისო კულტურის ცენტრის ეიურის გადაწყვეტილებით, წელს ამ საზოგადოების საუკეთესო დესპანის წოდება მიენიჭა ანსამბლ „რუსთაველ“ და მის სამხატვრო ხელმძღვანელს ბატონ ანზორ ერქომაიშვილს.

●

1990 წლის 22-23 დეკემბერს, თბილისში, გაიმართა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დახურული მესამე ყრილობა (კონგრესი). ყრილობას არ ესწრებოდნენ სტუმრები, პრესისა და რადიო-ტელევიზიის წარმომადგენლები, რადგანაც ის იხილავდა ტაქტიკასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ყრილობა გახსნა შამა ვახტანგ ასათიანმა.

პოლიტიკური მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მეოთხე დასის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია. პოლიტიკურ მოხსენებასთან დაკავშირებით ფართო კამათი.

პარტიის პოლიტიკური მდივანი მამუკა გიორგაძე გამოვიდა საანგარიშო მოხსენებით. საანგარიშო მოხსენებებით გამოვიდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რეგიონული ბიუროების ხელმძღვანელები. კამათში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენლებმა. ამით ყრილობის პირველი დღე დასრულდა.

23 დეკემბერს ყრილობამ მუშაობა გააგრძელა.

ირაკლი ქადაგიშვილი გამოვიდა მოხსენებით პარტიის - ტაქტიკის თაობაზე. გაიმართა კამათი.

ყრილობამ დაამტკიცა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა, აირჩია საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე (ირაკლი ქადაგიშვილი).

ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლუციები:

1. რეზოლუცია ირაკლი წერეთლის შიმშილობასთან დაკავშირებით;
2. რეზოლუცია ეროვნული კოხგრესის გადაწყვეტილებების თაობაზე;
3. რეზოლუცია კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

მიღებულ იქნა დადგენილება შიდაპარტიული დისციპლინის გაწმტკიცების თაობაზე, აგრეთვე, პასუხი გაეცა უზენაესი საბჭოს იმ შეკითხვებს ეროვნული კონგრესის მისამართით, რომელიც დაიბეჭდა 23 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკამ“.

ყრილობას მიესალმა პარტიის თავმჯდომარის მრჩეველთა საბჭოს ორი წევრი: თემურ ფიფია და გიორგი კობახიძე, რის შემდეგაც პარტიის მეოთხე ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პოლიტიკური მდივანი მამუკა გიორგაძე. გადაწყდა, რომ პარტიის მეოთხე (ღია) ყრილობა გაიმართოს დედაქალაქში 1991 წლის 8-9 თებერვალს.

ლოცვის შემდეგ ვანო ხუხუნაიშვილმა ყრილობა დახურულად გამოაცხადა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესამე ყრილობის საორგანიზაციო საკითხები არ განუხილია და არც პროგრამა-წესდებაში შეუტანია ცვლილებები.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრი.

23 დეკემბერი, 1990 წ. თბილისი.

ახალი ნელი—ბიჭვინთის ნაპირას

ჩერნობილის ზონის — ჩერნიგოვის ოლქის კოზელეცკის რაიონის 150 ბავშვი 1991 წელს საქვეყნოდ ცნობილ კურორტ ბიჭვინთის ჯანმრთელობის კერებში შეხვდება.

აქ ისინი თავიანთ აღმზრდელებთან ერთად ჩამოვიდნენ — ბავშვებს შორის ხომ სკოლამდელი ასაკისანიც არიან, და მასწავლებლების დამარებით მათ უნდა განიმტკიცონ ჯანმრთელობა, ისუნთქონ ზღვის სუფთა ჰაერი. ჩერნობილელი ბავშვები ესტუმრებიან ფიქვების ცნობილ ხეივანს, შემოივლიან აფხაზეთის ღირსშესანიშნავ ადგილებს, და რაც მთავარია, მუდმივი სტექმო კონტროლის ქვეშ იქნებიან.

სურათებზე: ბიჭვინთის ხანაპიროზე სეირნობის დრო. შავი ზღვის ნაპირას.

ირაკლი პოხოფელიძის ფოტო (სს „საქართველოს“ ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტყემლით მაინც სულ სხვაა“!

(ვარიაციები „ფეკალური იდეოლოგიისა და ჰოლოგრაფიული კეთილდღეობის“ თემაზე)

ვისთვისაც „საბჭოთა კავშირის“ სახელწოდება საცდური არ არის, და ვინც მას იოლად აიგივებს მოდერნიზებულ რუსულ იმპერიასთან, მისთვის მიხეილ გორბაჩოვის პრეზიდენტობაც დიდად არ გაჭუხვავდება ხელმწიფე-იმპერატორის უფლებამოსილებათაგან. და თუ მაინც შეიძლება თანამედროვე პრეზიდენტის რაიმეთი განსხვავება წარსულის იმპერიათა უზენაეს ხელისუფალთაგან, მხოლოდ ისაა, რომ არცერთი რუსი იმპერატორი და მისი საბრძანებელი ისე არ დაცემულა ქვეყნის სამოწყალოდ, როგორც ახლადმოვლენილი რუსი პრეზიდენტი, რომელიც მთელს მსოფლიოში აგროვებს შესაწირავებს თავისი გაღატაკებული ქვეყნისათვის.

რას შეიძლება შევადაროთ მისი დღევანდელი მოქმედება? ვცადოთ და სიმბოლოების ენაზე ერთი წუთით მთელი მსოფლიო დიდ ეკლესიად დავსახოთ, ხოლო იქ დასახლებული ხალხები — მრევლად. მაშინ რუსეთი დღეს იმ მათხოვრის როლში წარმოგვიდგება, რომელიც ეკლესიის კარიბჭესთან ჩამუხლულა, სამოწყალოდ გაუშვერია ხელი ხალხისათვის. გულმოწყალე მრევლი ქუდში უყრის მას ლითონის ფულებს, მაგრამ ამას ერთგვარი ყოყმანითა და უნდობლობითაც სჩადის, რადგან მათ წინაშე ჩვეულებრივი მათხოვარი კი არა ზის, არამედ ლოთობისაგან სახეაფორაჯებული ავარა, რომელმაც იცის, თუ ფული ჩაუვარდა ხელში, შეიძლება კიდევ დალიოს, გამთვრეს და ეკლესიაში აყალმაყალი ატეხოს. ამიტომ, როდესაც მრევლი ავარა-მათხოვრისათვის მოწყალებას იღებს, ნაწყალობევის უკეთურად მოხმარებისაგან თავდასაცავად კაცსაც გააყოლებენ ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს: იმ ფულით ლუკმა-პურის შეძენის ნაცვლად კიდევ არ გაილეშოს და ეკლესიის მშვიდობიანი ყოფა არ დაარღვიოს.

თუ ამ სიმბოლოებს რეალობის ენაზე ვაქცევთ: მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები სხვადასხვა ფორმით გასცემენ საბოძვარს: დაწყებული ცელოფანის პაკეტებში ჩაწყობილი კვების პროდუქტებით და გამონაცვალი ტანსაცმლით დამთავრებული. მაგრამ მათ ამავე დროს სპეციალური კომისიებიც ჰყავთ გამოყოფილი თვალმისადევნებლად, თუ სად მიდის რუსეთისათვის გადარიცხული დახმარება, რათა ღმერთი არ გაუწყრეთ, სამხედრო მიზნებისათვის არ დაიბანდონ და ფეთქებადსაშიში ვითარება არ შექმნან მსოფლიოში.

ეს, რაც შეეხება მრევლს. მაგრამ ახლა ის მათხოვრებიც ვიკითხოთ, რომელთა რიგებიც იმ ავარა-მათხოვარმა შეამჭიდროვა და თან გამუდმებულ ტერორშიცა ჰყავს: უკმაყოფილონი ხომ არიან და არიან ახალი კონკურენტის გამოჩენით, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ისინი პატიოსანი მათხოვრები არიან და თავი მორჩილად აქვთ დახრილი მოწყალების მოლოდინში. ეს ავარა-მათხოვარი კი არათუ მხოლოდ თავს აბეზრებს მრევლს წუწუნითა და თავის შებრალებით, არამედ იმასაც კადრულობს, რომ ვიდრე სხვა გაიწვდიდეს ხელს, დაასწრებს და უმაღ საკუთარ ხელს გაიწვდის წინ და სხვა მათხოვრებისათვის გასაღებ მოწყალებას თვითონ მიუშვერს ხოლმე მარჯვედ თავის ქუდს.

თუ ამ საქციელსაც გადავთარგმნით, გამოვა, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს ახალი ქვეყანა შეემატა საბჭოთა რუსეთის სახით. მაგრამ თუ ეგრეთ წოდებული მესამე სამყაროს ქვეყნები მორიდებით დგანან მათთვის დახმარების გაწევის რიგში, რუსეთი მათ შორის ერთადერთი აგრესიული წევრია და ისინი უკვე ხმას იმაღლებენ იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რასაც განვითარებული მსოფლიო იჩენს აგრესიული ქვეყნისადმი უპირატესობის მინიჭებით მათთან შედარებით.

მაგრამ იმ ავარა-მათხოვარს ზოგჯერ უცნაური რამეც ემარღება: უეცრად, სულ რომ არ მოელოდები, უარს იტყვის ხოლმე მოწყალებაზე. თანაც როგორ: გაიბერება, გაიფუყება და გვერდზე გასწევს უზალთუნებით ავსებულ ქუდს. ეს მაშინ ხდება, როდესაც მისი ყოფილი თანამეინახე ჩნდება ეკლესიის ზღურბლთან და ჯიბეში იყოფს ხელს მოწყალების მისაცემად, ავარას მაშინ უეცრად ახსენდება, თუ ადრე, კეთილად მოსაგონარ დროში რამდენჯერ დაუმტვრევიათ ერთად ბოთლები, ხშირად თავის ხარჯზეც კი რომ გამოუთვრია სასმელით და ახლა, როდესაც გაბღენძილი და მედიდური ყოფილი ამფონ-მეგობარი მოწყალების მიცემას აპირებს, იგი, ნაკაცარი და განადგურებული, უარს ამბობს ამ მოწყალებაზე; ოღონდ არა სიამაყის გამო, რომელიც მას არც ადრე ჰქონია, არამედ იმ გაბოროტებით შეპყრობილი, რომ მის ადრინდელ ტოლსა და სწორს დღეს რაღაც შეიძლება კიდევ შერჩენია და თვითონ კი ასე მომსპარია და დირსებადაკარგული.

სწორედ ამის შესახებ აუწყა 18 დეკემბერს „ვრემიამ“ მთელ ქვეყნიერებას: საბჭოთა რუსეთმა უარი განუცხადაო ერაყს დახმარებაზე. ყოფილმა მეგობრებმა ხელი აუკრეს სადამ ჰუსეინს მოსაკითხით გავსებულ ხონჩაზე შურით აღვსილებმა, რომ ამ შარაგზის ყაჩაღს ჯერ კიდევ შერჩენია იმდენი ნაალაფარი, რომ სხვისთვისაც შესძლებია მისი განაწილება.

და აი, ეს, მთელი მსოფლიოს თვალში თავლაფდასხმული და შელანძღული რუსული იმპერია გვეპატრეკება დღეს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დასადებად. რას უნდა ნიშნავდეს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველომ თავიდან ქუდი მოიშვლიაოს და ავარა-მათხოვრის, რუსეთის გვერდით ჩაიმუხლოს ეკლესიის კარიბჭესთან!

მაგრამ მათხოვრობასაც თავისი მარიფათი უნდა. აქვს კი ქართველ კაცს მათხოვრობის ნიჭი და უნარი? თუკი რუსულმა იმპერიამ თვით ჩამოაყალიბა ადამიანის სახე, რომელიც თვით მაშინაც კი მონად რჩებოდა, როცა სხვისი ბატონი იყო და მისთვის მათხოვრობა საძნელო საქმე არ უნდა იყოს, რა უნდა ქნას ხალხმა, რომელმაც 200-წლიანი ჩაგვრის შემდეგაც ვერ დასთმო საკუთარი ღირსების გრძნობა და ქვეყნის სამასხარაოდ ვერ დადგება სამათხოვროდ ხელგაშვერილი? ქართველ კაცს დახეულ წუღამესტებში და გახუნებულ ჩოხაშიც შერჩენილი აქვს ის აზნაურული სიამაყე, რომელსაც შეიძლება თეატრალურობა და ცრუპატივმოყვარეობაც ახლდეს, მაგრამ მაშინაც არ სტოვებს შინაგანი კეთილშობილება. გავიხსენოთ ვასილ ჩხაიძის მიერ განსახიერებული გმირი კინოფილმ „ლაზარეში“. ყამთა ვითარებისა და გარემოებათა გამო სიკეთეს მოკლებულს, უპოვარსა და მშიერს, ლუკმა-პური ენატრება, მაგრამ როდესაც ლაზარე უწილადებს, მთელი ქართველი ხალხის ხასიათს აქსოვს თავის მოქმედებაში: ჯერ სიამაყით უარყოფს შემონთავაზებებს, მერე წკიპად აიღებს ხორცს, ოდნავ მოსციცქნის და შთაგონებულად ამბობს: „ტყემლით მაინც სულ სხვაა!“

დიახ, დღეს ჩვენ, ქართველებს თავზე ბანი გვენგრევა, ჩოხაც ძველი და გაცვეთილი გვაცვია, სასმელ-საჭმელითაც ღარიბი გვაქვს სუფრა, მაგრამ როდესაც უარს ვამბობთ ახალ გარიგებაზე ჩრდილოელ მეზობელთან, ამით მთელ მსოფლიოს ვამცნობთ, რომ არა ვართ ის ხალხი, ვისაც არაფრად უღირს სამოწყალოდ ხელის გაშვერა და ქართველი კაცი ჯერ ისე არ დაიბუნებულა, რომ თავისი გაჭირვება საწყალობლად შესტიროს ქვეყანას. დაე, განვითარებულმა მსოფლიომ იცოდეს, რომ დიახ, დღეს ხშირად გვიჭირს, ზოგჯერ ნახევრადაც ვშიმშილობთ, მაგრამ, როდესაც ჩვენს ხსნილშიც კი იძულებითს სამარხო სუფრაზე უეცრად ჩნდება ხორცი, მისი პატარა ნაჭრის აღებისთანავე ქართველი კაცი იმავე შთაგონებით წარმოთქვამს:

„ტყემლით მაინც სულ სხვაა!“

ზურაბ ასკანელი

ისევ ედუარდ შევარდნაძის შესახებ

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე ხუთშაბათს წარსდგა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების წინაშე და განაცხადა, რომ გადადგება თავისი პოსტიდან, სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში მან ხაზი გაუსვა იმას, რომ რჩება გორბაჩოვის ახლო მეგობრად და თანამოაზრედ. წლების განმავლობაში გაისმოდა ჭორები იმაზე, რომ გორბაჩოვს შეიძლება შევარდნაძე დაესახელებინა პრემიერ-მინისტრად, რიჟკოვის მაგივრად. ხუთშაბათს, გორბაჩოვმა დაადასტურა, რომ შევარდნაძე მართლაც მისი არჩევანი იყო ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე.

შევარდნაძის მტრებს დიდი ხანია სურდათ მთავრობიდან მისი გაძევება. ზოგიერთი მისი მოწინააღმდეგე სამხედრო პირია, ისინი ბრალად სდებენ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას იმას, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სულ უფრო მცირდება საბჭოთა კავშირის, როგორც ზემძლავრი სახელმწიფოს სტატუსი. შევარდნაძის საგარეო საქმეთა სამინისტრო და საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტრო მუდმივ კონფლიქტში არიან სხვადასხვა საკითხში, დაწყებული განიარაღებიდან და გერმანიის გაერთიანებით დამთავრებული; შევარდნაძეს მტრები ჰყავს აგრეთვე, კონსერვატიულ პარტიულ ფუნქციონერებს შორისაც, ისევე როგორც მემარჯვენე რუს ნაციონალისტებში. მაგრამ შევარდნაძის გადასაყენებლად ყველაზე დიდი კამპანია გაჩაღებული ჰქონდა საბჭოთა კანონმდებელთა ჯგუფს „სოიუზს“. ამ ჯგუფის ლიდერებიდან ორი საბჭოთა არმიის პოლკოვნიკია.

ოქტომბერსა და დეკემბერში „სოიუზმა“ გამოაქვეყნა განცხადებები, რომლებშიც მოითხოვენ რომ შევარდნაძემ გასცეს პასუხი, თუ რატომ განაცხადა მან სპარსეთის ყურეში საბჭოთა ჯარის გაგზავნის შესახებ. საბჭოთა ჯარს, თითქოს, იქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშის ქვეშ უნდა ებრძოლა. სწორედ „სოიუზი“ მოითხოვდა დაბეჯითებით, რომ შევარდნაძე ხუთშაბათს სიტყვით გამოსულიყო. ბატონმა შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო თვითონ არ ქმნის საგარეო პოლიტიკას და იგი პარტიის პოლიტიკას ანხორციელებსო. მან თქვა, რომ სინამდვილეში, სამიზნედ აღებულია პრეზიდენტი, ან, სულ ცოტა მისი აწმყო პოლიტიკაო, მიმდინარე თვეს „სოიუზმა“ საკუთარი ყრილობა იქონია მოსკოვში. მონაწილენი, ძირითადად, აკრიტიკებდნენ გორბაჩოვს იმის გამო, რომ მან დაუშვა საბჭოთა კავშირის დაშლა. ბოლოს, უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გორბაჩოვს მისცენ საშუალება გაატაროს მათი, „სოიუზის“ პროგრამა. ამ პროგრამის ძირითად ნაწილში გაკეთებულია მოწოდება პრეზიდენტისადმი გადამწყვეტ ზომებს მიმართოს, რათა აღკვეთოს სეპარატიზმი რესპუბლიკებში. იმავე დღეს, გორბაჩოვი გამოეხმაურა ამ განცხადებას იმით, რომ გაიმეორა ადრე გაკეთებული გაფრთხილება, რომ საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რაიონში მოელვარების შემთხვევაში შემოიღებს უშუალო საპრეზიდენტო მმართველობას. ერთერთ ასეთ რაიონად მან საქართველოც დაასახელა, ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, სწორედ საქართველოს წინააღმდეგ გამოთქმული მუქარა შეიძლება გახდა ის ნაპერწკალი, რომელმაც შევარდნაძეს გადაადგმევინა ასეთი ნაბიჯი. ბატონი შევარდნაძე უკვე ისედაც შეშფოთებული იყო, რომ გორბაჩოვი შეიძლება დაჰყვეს მემარჯვენეებს. მიუხედავად ამისა, შევარდნაძის პოტენციური მოკავშირეებიც ჰყავს, განსაკუთრებით, რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის სახით, რომელმაც, აგრეთვე, გააკეთა გაფრთხილება დიქტატურის საშიშროებაზე, ოთხშაბათს წარმოთქმულ სიტყვაში. ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, ლიბერალი ლიდერების ერთობამ, მაგალითად, ელცინისა და შევარდნაძისა, შეიძლება მაინც მიაღწიოს გამარჯვებასო.

ამერიკის ხმა

21 დეკემბერი.

კიდევ ერთი უმაღლესი სასწავლებელი

მოკლე ხანში კიდევ ერთ უმაღლეს სასწავლებელში დაიწყება ახალი სასწავლო წელი. ეს არის უმაღლესი სამუსიკო-პედაგოგიური სასწავლებელი. მისი ხელმძღვანელია ცნობილი მუსიკოსი მედეა ფანიაშვილი. გთავაზობთ მის საუბარს ჩვენს კორესპონდენტ ნონა ლომაძესთან.

— ჭალბატონო მედეა, როგორ დაიბადა ამ სასწავლებლის დაარსების იდეა?

— მე, როგორც მუსიკოს-შემსრულებელი, წლების მანძილზე დავდივარ საბრონემენტო კონცერტებთ რეგიონებში და ვატარებ თემატურ ლექციებ-კონცერტებს, დაწყებული აღორძინების ეპოქის მუსიკით და დამთავრებული თანამედროვეთი. ამ მოგზაურობების დროს, რა თქმა უნდა, მჭონდა შეხვედრები სამუსიკო სკოლების პედაგოგებთან, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ მიიღონ უმაღლესი მუსიკალური განათლება და აიმაღლონ თავიანთი პროფესიული დონე. ამ შეხვედრებმა დაბადა ისეთი სასწავლებლის შექმნის იდეა, სადაც ყველა მუსიკის პედაგოგს ექნებოდა საშუალება, განეხორციელებინა ეს სურვილი. უმაღლეს სამუსიკო პედაგოგიურ სასწავლებელში სწავლა სამწლიანია, და სამეურნეო ანგარიშს ემყარება. შემოსული თანხა ხელფასის ფონდსა და სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას მოხმარდება. ასევე, ჩვენი მეშვეობით დაიბეჭდება საჭირო სასწავლო კრებულები, როგორც დამწყებ მუსიკოსთათვის ასევე შემდგომი ეტაპისათვის.

— კონსერვატორიახთან რამე დაპირისპირებახ ხომ არ ექნება ადგილი?

— ჩვენ არავითარ ალტერნატივას არ ვუქმნით კონსერვატორიას. კონსერვატორიის მიზანია აღზარდოს შემსრულებელი-ვირტუოზი და ამავე დროს სტუდენტი ეუფლება მეთოდურ საგნებსაც პედპრაქტიკის სახით. ჩვენს სასწავლებელში კი წამყვანი როლი ენიჭება სწორედ პედაგოგიურ პროფილს. ძირითადად, ჩვენი კონტინენტი შედგება უკვე მომუშავე მუსიკოსებისაგან. რომლებსაც შეიძლება არ გააჩნიათ ის ვირტუოზული მონაცემები, რომლებიც აუცილებელია კონსერვატორიისათვის, მაგრამ არიან ნიჭიერ-მუსიკოსები და უნდათ აიმაღლონ პროფესიული დონე.

— ვინ იქნებიან თქვენი სახწავლებლის მომავალი პედაგოგები?

— მეთოდიკის კურსს წაიყვანს საბჭოლგანთქმული ნათან პერელმანი, მსოფლიო ხელოვნების ისტორიის კურსს — ნანა ქავთარაძე, მსოფლიო ხელოვნების ისტორიას— ვახტანგ ბერიძე, თეორიასა და იმპროვიზაციას — მანანა დოლიძე, საკლავირო ხელოვნების ისტორიას — ნინო მერაბიშვილი, ფორტეპიანოზე დაკვრის ხელოვნებას — მერი ჭავჭანიძე, მედეა ალთუნაშვილი, ნინო მაღრაძე, ალექსანდრე ნიკარაძე, რევაზ თავაძე, ნოდარ ნაკაიძე, ჯარმონიას — ვანო ყოლები, პოლიფონიასა და კომპოზიციის საფუძვლებს — სულხან ნასიძე, საგუნდო კლასს — დავით ბალანჩივაძე, შალვა მოსიძე,

— რომელ ფაკულტეტებზე იქნება სწავლება უმაღლეს სამუსიკო-პედაგოგიურ სასწავლებლებში?

— საფორტეპიანო, სიმებიანი, ჩასაბერი, თეორიული, საკომპოზიციო, საგუნდო-სადირიჟორო, ასევე იქნება ორი ახალი ფაკულტეტი. ერთი მათგანია — ძველებური მუსიკის ფაკულტეტი, სადაც სამი განყოფილება შედის: კლავესინი, ვიოლა და გამბა, ბლოკფლეიტა. მეორეა კლასიკური ჯაზის ფაკულტეტი, ისიც სამი განყოფილებისაგან შედგება: ჩასაბერი, საფორტეპიანო და სიმებიანი. აქ მოვიწვიეთ თამაზ ყურაშვილი, ალექსანდრე რაქვიაშვილი და თენგიზ ჯაიანი.

— როგორია კონკურსის პირობები?

— ჩარიცხვა იწარმოებს გასაუბრებაკოლოქვიუმის საფუძველზე, რომელშიც შეტანილ იქნება საკითხები მუსიკის ელემენტარული თეორიის სოლფეჯიოს, მუსიკის ისტორიის შესახებ. გასაუბრება მკაცრად ჩატარდება და ჩაირიცხება ის, ვისაც ცოდნის მიღება სურს და არა მხოლოდ დიპლომის. დიდ პრივილეგიას ვანიჭებთ მაღალმთიან რაიონებიდან ჩამოსულ პედაგოგებს.

— როგორ გადაწყდება რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტების ლექციებზე დასწრების საკითხი?

— ჩვენთან დაუსწრებელი არ იქნება. შემუშავებულ იქნა სპეციალური ცხრილი, რათა რეგიონებიდან ჩამოსული მსმენელები დესწრონ შაბათ-კვირას იმ ლექციებს, რომლებიც კომპაქტურად არის დატვირთული საგნების წამყვან პედაგოგთა მიერ:

— გისურვებთ წარმატებას.

— დიდი მადლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიზების და სხვა დოკუმენტების სწრაფად თარგმნის მსურველებს

გთხოვთ გვეწვიოთ კოოპერატიულ ფირმა „ადონისს“, მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. № 29, ფირმა მუშაობს ყოველ დღე 10 სთ-დან 18 სთ-მდე, კვირის გარდა.

ყურადღება!

ფირმა აწარმოებს აგრეთვე ვიზების სასწრაფო თარგმნას ადგილზე.

ფირმა სამუშაოდ იწვევს უმაღლესი განათლების მქონე ბერძნულის მცოდნეს.

კომერციული ფირმა „უნივერსალი“ გთავაზობთ სრულიად ახალი სახის მომსახურებას. თუ თქვენ გსურთ შეიძინოთ ან გაყიდოთ ნებისმიერი სახის საქონელი, ამაში დაგეხმარებათ ფირმა „უნივერსალი“. ამისათვის საკმარისია დარეკოთ ფირმაში და შეგვატყობინოთ რა სახის საქონლის გაყიდვა ან შეძენა გსურთ. თქვენი ინფორმაცია შეიყვანება კომპიუტერულ სისტემაში და გამოქვეყნდება გაზეთ „შვიდი დღეს“ სარეკლამო გვერდზე. შეკვეთები მიიღება უფასოდ 11-დან 14 საათამდე, ყოველ დღე კვირის გარდა.

ჩვენი ტელეფონია: 98-38-61,

მისამართი: კოსტავას ქ. 31.

საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის II საგანგებო კონგრესზე ა. წ. 22 ნოემბერს მომხდარი განხეთქილების შესახებ საზოგადოებამ გარკვეული ცნობა მიიღო. უმეტესობის გადაწყვეტილება ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირთან გაერთიანების თაობაზე არ იქნა გაზიარებული პარტიის თავმჯდომარის ირაკლი შენგელაიასა და მისი მომხრეების მიერ. მათ დატოვეს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია და შექმნეს დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც თავს უფლებას აძლევს გამოაქვეყნოს შემდეგი

განცხადება

1. ა.წ. 21 დეკემბერს ჩატარდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფის პლენარული სხდომა.

2. სხდომაზე გადაწყდა საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკელთა ფედერალური კავშირის საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბება.

3. საინიციატივო ჯგუფს დაევალა უახლოესი ერთი თვის ვადაში მოამზადოს საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკელთა ფედერალური კავშირის დამფუძნებელი კონფერენცია.

4. დამფუძნებელ კონფერენციაზე საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკელთა ფედერალურმა კავშირმა უნდა მიიღოს ქარტია, გაარკვიოს საკუთარი ადგილი ბლოკ „თავისუფლებაში“ და განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება მასში შემავალ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან.

5. საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკელთა ფედერალური კავშირის დამფუძნებელი კონფერენციის მოწვევის შესახებ საზოგადოებას ეცნობება დამატებით.

საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკელთა ფედერალური კავშირის საინიციატივო ჯგუფის სახელით

ირაკლი შენგელაია

დედაქალაქი 24. 12. 1990 წელი.

ალიარება

მიმდინარე წლის 15-16 დეკემბერს ესტონეთის ქალაქ კოხტლა-იარვეში ათლეტიზმის ერთ-ერთი სახელობის, ძალისმიერი სამჭიდის ევროპის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩატარდა სრულიად ევროპის საერთაშორისო ტურნირი „დიდი დათვის პრიზზე“, რომელიც ამ სანრობაში ორი ყველაზე მეტად პრესტიჟული ტურნირის — „ქარვის პრიზისა“ და „დათვის პრიზის“ გაერთიანების შედეგად დაფუძნდა და წელს მესამედ გათამაშდა.

ამ ტურნირზე ევროპის ყველა ქვეყნების, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების და საბჭოთა კავშირის ათლეტთა ნაკრები გუნდების გვერდით მონაწილეობდა საქართველოს ათლეტთა ნაკრები გუნდიც, რომლის გამოსვლამაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამა წლის ნოემბრის ბოლო დღეებში ქ. ამსტერდამში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც ევროპის ყველა ქვეყნისა და საბჭოთა კავშირის ათლეტთა ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ და გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მომავალი წლის აპრილს უაა რიცხვებში ქ. პარიზში ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ყოველი ხსენებული გუნდი მიიღებს მონაწილეობას, — ეჭვი აღარ შეგვეპარება იმაში, რომ ყოველი მონაწილე და ყოველი გუნდი „დიდი დათვის პრიზზე“ ბრწყინვალე ფორმაში წარმოდგა. ამ ტურნირზე დამყარდა მსოფლიოს 8 და ევროპის 14 რეკორდი სხვადასხვა მოძრაობებსა და სამჭიდის ჯამში.

გუნდურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გავიდა მსოფლიოს ჩემპიონი, ფინეთის ათლეტთა ნაკრები გუნდი; მეორე ადგილი, ჩვენდა სასიხარულოდ, საქართველოს ნაკრებმა გუნდმა ერავის დაუთმო, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი შვეიციის ნაკრები გუნდი კი იძულებული გახდა მესამე ადგილს დასჯერებოდა.

ქართველი, ლატვიელი და ესტონელი ათლეტების გარეშე მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა; ლატვია — მეექვსეზე, ხოლო ესტონეთი კი მერვე ადგილზე გავიდა, რაც, თავისთავად, მაღალ შედეგად იქნა მიჩნეული სპეციალისტთა უმრავლესობის მიერ.

ქართველებიდან პირად ჩათვლაში ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: 82,5 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში თელაველი დავით ბეჟანიშვილი, და 125 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში სიღნაღელი შოთა ბეჟაშვილი, რომელმაც უფრო მძიმე წონით კატეგორიაში გამარჯვებული ფინელი ათლეტის კაი ლინდსტრომის შედეგსაც გადააჭარბა და აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

სამწუხაროდ, სიღნაღელმა ათლეტებმა მამუკა შენგელიამ (60 კგ) და დავით მერაბიშვილმა (75 კგ) სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო პირველი ადგილი დაკარგეს და ორივე მესამე ადგილზე გავიდა. ამ შეცდომების თავიდან აცილების შემთხვევაში საქართველოს ათლეტთა ნაკრები გუნდურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გავიდოდა...

ტურნირის დამთავრების შემდეგ ფინეთის ფედერაციის პრეზიდენტმა და ევროპის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბიორნ სიორენსენმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ საქართველო ამ ტურნირზე შეუდარებელი იყო; რომ ევროპის საერთაშორისო ფედერაცია უსათუოდ განიხილავს საქართველოს გაწევრიანების საკითხს პირველსავე პლენუმზე, რომელიც მომავალი წლის ივლისში დაგეგმილი...

ზაზა ჯაფარიძე

ვალმოხდილი მოვალე

ადამიანი მათუსალას ხნისაც რომ მოიყაროს და მხოლოდ სიკეთე თესოს ამქვეყნად, მაინც მარადიული მოვალეა კაცის, ერის, ღმერთის წინაშე — რაღაც ყოველთვის დარჩება გასაკეთებელი, გასაცემი, გადასახდელი.

და — პირიქითაც:

ადამიანი აკვანშივე რომც დაიღუპოს, მაინც ვალმოხდილია ღვთისა და კაცის წინაშე: თუნდაც თავისი მოვლინებით მოასწრო მან სხვისი გახარება, დაიმედება, ნუგეში.

გურამ კვინიკაძე 15 წლისა წავიდა ამა სოფლიდან, წავიდა, როგორც ვალმოხდილი მოვალე.

მოვალეა— ვერ მოასწრო მისი წილი საქნელის ქნა: ასაშენებლის აშენება, დასახატის დახატვა, გასაგრძელებლის, თავისი ჯიშისა და ჯილაგის, გაგრძელება.

ვალმოხდილია — დახმარება განსაცდელში ჩავარდნილს, ხელი გაუწვდია გაჭირვებულისათვის, მარტო ახლობლები კი არა, საქართველო გაუხარებია თავისი სიჩაუქით: „მართვეს“ რაგბისტთა გუნდმა, სადაც იგი თამაშობდა, არც ინგლისში, რაგბის სამშობლოში, შეირცხვინა თავი.

საქართველოსათვის არ დაღუპულა, მაგრამ საქართველოსთვის ცხოვრობდა... დუშმანის ხელით არ განგმირულა, მისმავე სისხლმა და ხორცმა, მისმავე ტოლმა მოუსწრაფა სიცოცხლე.

რას ვერ იყოფენ ბიჭები? რა ვერ გაგვიყვია მათს მამებს? რა ვერ გაიყვეს ჩვენმა შშობლებმა? ჭინჭები? მანქანები? სახელი? ის, რაც მართლა „არ არის გასაყოფელი“ — ჩვენი მამული, ჩვენი საქართველო — ვაი რომ კიდეც გავყავით, კიდეც გავცვალეთ და კიდეც გავყიდეთ... ახლა მოვდექით და ერთმანეთს ვკუწავთ, ვჭრით, ვფატრავთ, ვწამლავთ... არა მარტო ბებუთითა და ტყვიით — ენითაც, კალმითაც...

დღე არ გავა, ქართველი არ მოკლან...

დღე არ გავა, ქართველმა არ მოკლას...

დღე არ გავა, ქართველმა ქართველი არ მოკლას.

მე, პირადად, მარტო გურამ კვინიკაძეს, ჩემი ახლობლის ვაქს, კი არ ვიგლოვ, ვიგლოვ ძირში გადაჭრილ სამამულე რქას და აქაოდ დაღვრილ სადიდგორე სისხლს.

მკვლელსაც ვიგლოვ, ჩემს სისხლსა და ხორცს, სულიერად ისიც მკვდარია.

ვიგლოვ ჩემს თავსა და ჩემს თაობასაც, მამებს, ვინც გადავეცით ჩვენს შვილებს საჭირო რამ — სიამაყე და თავმოყვარეობა, მაგრამ ვერ მივუბოძეთ საღმრთო რამ ნიჭი — შენდობა და სულგრძელობა.

მივეცით ჩვენის სიჭარბისაგან... დავაკელით ჩვენივე ნაკლულოვანებისაგან.

წავიდა კიდევ ერთი ვალმოხდილი მოვალე.

მძიმე ცოდვას იდებს კისრად კაცი — თვითმკვლელი; მაგრამ უფრო დიდ ცოდვაში გვიდგას ფეხი ყველას, უკლებლივ ყველას — ერის თვითმკვლელობაში.

აჰა, ნიშანიც ერის თვითმკვლელობისა — ჩვენი შვილები ერთმანეთს ხოცავენ.

ნუთუ სრულდება დავითის ნაწინასწარმეტყველევი „მოსპოლვა საფუძველისა?“

მე ვინ ვარ, გზა ხსნისა რომ ეცოდე, მაგრამ მწამს, რომ ეს ცოდა შოთამ:

„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად ბერად,
ვის აეკვდილი მოყვრისათვის თანაშად და მიჩანს მღერად“.

იცოდა ილიამ:

„სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამის, ქვეყნისა არის“.

იცოდა ვაჟამ:

„სიცოცხლე სიყვარულითა
და სიყვარული სიცოცხლით,
უერთურთისოდ ვერც ერთსა
ვერ ვიცნობთ, ვერც როს ვიცნობდით“.

და იცის უფალმა:

„არა კაც კლა!“

თამაზ კვაჭანტირაძე.

25.12.90 წ.

საახალწლო სუფრა ცარიელი არ იქნება

მრავალთათვის უმშვენიერესი და საყვარელი დღესასწაული ახალი წელია. ტრადიციით მას მთელი ოჯახით ხვდებიან სადღესასწაულო სუფრასთან, მაგრამ ჩვენი ცხოვრების მკაცრ რეალობას მისი ეკონომიკური და სხვა სიძნელეებით, თითქოს, შეუძლია გააღარიბოს ფერები ახალი წლის ღამეს. ამას მოწმობს სასურსათო მაღაზიების ცარიელი დახლები, გრძელი რიგები, მრავალნი შეეჩვივნენ იმ აზრს, რომ მომავალ წელს შეხვდებიან უშამპანუროდ, უსაციოდ და ა.შ. მაგრამ...

შამპანური იქნება, — ამბობს საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სასურსათო საქონლის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი რევაზ ჯანელიძე — დედაქალაქის მაღაზიებში, 21 დეკემბრიდან დაწყებული 6 იანვრის ჩათვლით ყოველდღიურად უკვე შემოდის 2.000 დეკალიტრი შამპანური, ურომლისოდაც, მართლაც წარმოუდგენელია საახალწლო სუფრა, ხოლო 25 დეკემბრიდან თბილისისა და რუსთავის მაღაზიებში შემოვა სხვა პროდუქტებიც. ეს არის ფრინველი: 20 ტონა ყოველდღიურად (ციფრები აქაც და შემდეგ მომყავს მხოლოდ თბილისის მიხედვით), მაშინ, როცა ჩვეულებრივ დღეებში თხუთმეტ ტონაზე მეტი არ შემოგვქონდა. იგივე შეიძლება ითქვას ძეხვეულზე — მისი ნაკადი გაიზარდა 2-ჯერ და მეტად. მოიმატებს ყვერცხის გაყიდვაც — ყოველდღიურად ჩვეულებრივზე 100 ათასი ცალით მეტ კვერცხს შემოვზიდავთ.

თითქმის ორჯერ გაიზარდა საკონდიტრო ნაწარმის — კამფეტის, შოკოლადის ფილების და ა.შ. მოწოდება, გარდა ამისა, პურის ქარხნებში ყოველდღიურად გამოცხვება 5,5 ტონა ფქვილის ნაწარმი. მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ ფქვილი მაღაზიებში.

ამას გარდა საკმარისი რაოდენობით იქნება ლიმონათი, მინერალური წყალი, ღვინო, ვაყინული და შებოლილი თევზი, თევზის კონსერვები, ბურღულეული, მაკარონი, მარგარინი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შაქრისა და კარაქის ტალონები მთლიანად დაიფარება არსებული რესურსებით.

— როგორ არის გემრიელი საჭმელების საქმე?

— მაღაზიებში მიიღებენ იმ პროდუქტებსაც, რომლებსაც ხალხი, სამწუხაროდ, გადაეჩვია. ეს არის იმპორტული ლორი: 25 დეკემბრიდან 1 იანვრამდე ჩათვლით სავაჭრო ქსელი მიიღებს 150 ათას პირობით ქილას, დაკონსერვებულ ცერცვლას — 20 ათას პირობით ქილას, აგრეთვე იმპორტულ კომპოტებს, ყურძნის წვენს, ხსნად ყავას, რძის კონსერვებს. ვაჭრობის სამინისტროს მაცივრიდან ყოველივე ამის დამატებით შემოვა 600 ტონა გაყინული ფრინველი და 80 ტონა ბრინზა.

— ხორცი?

— აქ გარკვეული სიძნელეებია. მაგრამ ჩვენი მინისტრი პირადად ადევნებს ამას თვალყურს, მოგზაურობს რაიონებში, ეძებს მომწოდებლებს. მაგალითად, უკვე მიღწეულია მორიგება — ახალგორიდან დედაქალაქში ჩამოიტანენ 10-15 ტონა ღორის ხორცს. არის იმედი, რომ ხორცის ნაკადი გაიზრდება. ასე რომ, ახალ წელს არ შევხვდებით ცარიელ სუფრასთან.

ახლა კი, ვსარგებლობ შემთხვევით და ვინდა ყველას ბედნიერი ახალი წელი და შობა ვუსურვო.

მილოცვას ვუერთდები მეც...

ლადო მიზანდარი,

სს „საქართველოს“ კორ.

წერილები „ახალგაზრდა ივერიელს“

„ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა გადაწყვეტილება, რომ თბილისის ტრიკოტაჟის ს/გ „გლდანის“ ყველა თანამშრომელმა ყოველთვიურად ხელფასიდან გადარიცხოს თითო მანეთი მერაბ კოსტავას საადგილმამულო ფონდში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამასთან დაკავშირებით სსგ „საქსოფლმანქანამშენის“ ორგანიზაციაშიც იქნა მოწვეული საერთო კრება. კრების მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს ზემოთ აღნიშნული თაოსნობა და დაუჭირეს მხარი. გადაწყვიტეს, ყოველთვიურად მერაბ კოსტავას საადგილმამულო ფონდში თითო მანეთი გადარიცხონ. თანამშრომელთა მოთხოვნით გადაწყდა აგრეთვე, რომ ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებასთან ერთად № 1007000307 ანგარიშზე გადაირიცხოს თანამშრომელთა ერთი დღის ხელფასი.

გამოითქვა სურვილი, რომ შეგროვილი თანხა მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ დემოგრაფიული საკითხების მოგვარებას. განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საქართველოს იმ შვიდ ჭიშკართან არსებული სასაზღვრო სოფლების აღდგენა-განახლებას, რომლებიც დემოგრაფიულად არაქართულია და რომლითაც საქართველო უკავშირდება სხვა რესპუბლიკებს.

ბურამ კილაძე,

სსგ „საქსოფლმანქანამშენის“ რუსთაველის საზოგადოების პ/ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ბესო ბაბუნია,

ხახალხო ფრონტის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე.

●

„ახალგაზრდა ივერიელში“, 6 დეკემბერს, გამოქვეყნდა წერილი „გვერდში დაგიდგებით“, სადაც მოთხრობილია ყვარლის რაიონის შილდის სასოფლო ყრილობის შესახებ. ქინძმარაულის საწარმოო გაერთიანება თავს ვალდებულად თვლის განაცხადოს, რომ ჩვენი გაერთიანების შილდის № 2 ღვინის ქარხანაში, ამავე სოფლის კოლმეურნეობიდან, მიშდინარე წელს მიღებულია 7802440 კგ ყურძენი, თანხით 625963 მან და 78 კაპ. საშუალოდ 1000 კგ ყურძენზე გადახდილია 802 მან და 26 კაპ.

მერაბ სეფაშვილი,

ქინძმარაულის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი.

ლორეტიანი არგო

ეკონომიკური
ბიბლიოთეკა

ბოლოკავთ შობის ბლესასწაულს

ᲐᲠᲒᲝ

საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინების“ მიერ გამოშვებული საშობაო მისალოცი ერთსა და იმავე დროს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო მილოცვაცაა.

მიულოცეთ შობის დღესასწაული თქვენს ახლობლებს! მისალოცებს შეიძენთ „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში.

ᲐᲠᲒᲝ

ტაქსების კოოპერატივი „ექსტრა“

საუკეთესო მომსახურებას გაუწევს ყველა პირობის დაკმაყოფილებით კერძო მანქანების მფლობელებს, ვისაც სურთ მგზავრთა გადაყვანა, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს მასშტაბით. კოოპერატივი მძღოლთა შორის ათამაშებს ამორტიზირებულ მსუბუქ ავტომობილებს გარკვეული წესით, აგრეთვე, სატვირთო ავტომობილს „გაზ-53“. კოოპერატივში ყველა მომუშავე მძღოლისთვის გათვალისწინებულია, სურვილისამებრ დასასვენებელი და სამკურნალო საგზურები საქართველოს მასშტაბით. აგრეთვე თურქეთის ტურისტული საგზურები ორმოცკაციანი ჯგუფის შეკრების შემთხვევაში.

მიღება წარმოებს ყოველდღიურად, დილის 9 საათიდან საღამოს 21 საათამდე. მძღოლთა გაფორმება ლიმიტირებულია 50 მძღოლამდე. მიღების ბოლო ვადაა 1991 წლის 31 იანვარი.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 35-20-39 და გვეწვიეთ მისამართით წყალტუბოს ქ. №29 (შესასვლელი ელიავას ქუჩის მხრიდან).

სარეკლამო საგენტო
„არგო-ბლიკი“

მოქალაქეთა საყურადღებოდ

საქველმოქმედო კომერციული ფირმა „ნატვრისთვალის“ ბაზაზე მუშაობას შეუდგა ექსტრასენსი ქალბატონი კლარა ბურჭულაძე, რომელიც მკურნალობს გულის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, კიდურების მოძრაობის შეზღუდვის, მარილების დაგროვების, ქალური დაავადებების, რადიკულიტის, კენჭოვანი დაავადების, თავის ტკივილის, სმენის დაქვეითების, ყურის ანთების და მხედველობის დაკარგვას. მიღება ყოველდღე გარდა კვირისა დილის 10 სთ-დაან 12 სთ-მდე. ჩვენი მისამართია ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ.№58. ტ:37-22-06.

სარეკლამო საგენტო
„არგო-ბლიკი“

საქველმოქმედო კომერციული ფირმა „ნატვრისთვალი“ კერძო ავტომანქანების მფლობელებს სთავაზობს მოსახლეობის მომსახურებას. გადასახადი თვეში 30 მანეთია.

ჩვენი მისამართია: თბილისი, მიცკევიჩის 58.

სარეკლამო საგენტო
„არგო-ბლიკი“

მე-10 პოლიკლინიკის ბაზაზე გაიხსნა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის კაბინეტი, სადაც წარმატებით მკურნალობს ექსტრასენსი **ეკა ქსოვრელი.** იგი სისტემატიურად იმაღლებს კვალიფიკაციას, კარგად დაეუფლა წერტილოვანი მასაჟის და ფსიქოთერაპიის საკითხებს, რომელთაც იყენებს ბიოდენებით მკურნალობასთან ერთად. **მიღება ყოველდღე მე-10 პოლიკლინიკაში, III მასივი, კალოუბნის ქუჩა №18. ტ. 73-15-70.**

აქ შეგიძლიათ იმკურნალოთ ნევროზი, სამწვერა ნერვის ანთება, ნეკნთა შუა ნერვის და საჯდომი ნერვის ანთება, შიდა ქალის წნევა, თავის ტკივილები. რადიკულიტი, იშიაზი, მარილების დაგროვება, მხედველობის დაქვეითება, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულები.

სარეკლამო საგენტო
„არგო-ბლიკი“

მამაკაცთა საყურადღებოდ!

სექსუალური დარღვევები (იმპოტენცია) მამაკაცთა შორის არც თუ იშვიათი მოვლენაა.

სქესობრივი ფუნქციის აღდგენა შეგიძლიათ, თუ მიმართავთ თბილისის სამეცნიერო-საინფორმაციო-კოოპერატივ „კონტაქტს“.

მისამართი: თბილისი, ი.ჭავჭავაძის პროსპექტი 49 (საქსპორტკომის შენობა) საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერი, II სართული, ოთახი 10 (საცურაო აუზის გვერდით). ტელეფონი: 22-55-71.

მიღება: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი — 19 სთ — 21 სთ.
შაბათი — 10 სთ — 12 სთ.

აქ მიღებული კონსულტაციები, რომლებიც ეფუძნება ჩოსკოვის სამედიცინო-საწარმოო ცენტრ „ელექტრონში“ დამუშავებულ და აპრობირებულ მეთოდიკას, დაგეხმარებათ დაუბრუნდეთ ნორმალურ სქესობრივ ურთიერთობებს (ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ანონიმურობა გარანტირებულია).

სარეკლამო საგენტო
„არგო-ბლიკი“

თუ გსურთ ბავშვების, მოხუცებულების, ავადმყოფების მომვლელი აიყვანოთ ბინაზე მიმართეთ კომერციულ ფირმა „ნატვრისთვალს“.

საქველმოქმედო კომერციული ფირმა „ნატვრისთვალი“ სამუშაოდ იწვევს ქართული ეროვნული ცეკვების გამოცდილ ქორეოგრაფს. ცნობებისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ მიცკევიჩის ქ.№58. ტ. 37-22-06.

სარკლამო საგენტო
„არგო-ბლიკი“

ვიზების სათარგმნელად და ანკეტების შესავსებად

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერაციულ ფირმა „ზევსს“, რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 35-18-27 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, წერეთლის გამზ. № 74.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“.

საწარმოების, firmebis, კოოპერატივების საყურადღებოდ!

პროდუქციის რაოდენობის მომატებასთან დაკავშირებით, გრძელდება ხელშეკრულებების გაფორმება უცხოური წარმოების მაცივრებზე.

ხელშეკრულებები გაფორმდება მხოლოდ იმ იურიდიულ პირებთან, რომლებიც შეგვიკვეთენ არანაკლებ 50 ცალ მაცივარს.

ხელშეკრულების გასაფორმებლად მობრძანდით მისამართზე: ბუდაპეშტის ქუჩა № 1.

უკანასკნელი ვადაა 27 დეკემბერი, 16.00 საათამდე.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“.

Сакартвело
Вчера
Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазда Иберия»

ტელეფონები: მმართველი — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-54;
წერილების კონფიდენციალური — 99-99-49.

პასუხი ბეჭდვის კვირაში საქველმოქმედო საქმიანობის, ხელოვნების, შაბათის. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებიან.

რედაქტორი
ზურაბ ბალავარიძე

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 339004, თბილისი-96, ზ. კოსტავას ქ. № 14, ოფსეტური ბეჭდვა. წერილი საგაზეთო ქაღალდზე, სიმაღლეზე 70 29 [illegible] 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 69400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 339004 ზ. კოსტავას ქ. № 14.